ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ათასი ლარი)			
დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	926,5	926,5	926,5	926,5
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა	9,5	9,5	9,5	9,5
სულ ქვეპროგრამა	936,0	936,0	936,0	936,0
მიზანი და აღწერა	დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის , მათ შორის ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების, შშმ პირების და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი პირების, განსაკუთრებით			

	ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ბეზე კვეთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოკვლევა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პირობების შექმნა, სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მომზადება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების აღწერა, ფოტო-ფიქსაცია და სხვ. თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად_საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო. სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დამანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო-სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სხვ. ა(ა)იპ დამანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ბეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, სადგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, მოზრდილთა ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შვარიდა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი", გივი ტატიშვილის სახელობის მოზრდილთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მარითვე"). სტუდიებში დღეისათვის დადის 289 მოსწავლე (აქედან 189 გოგონა, 100 ბიჭი). ცენტრში დასაქმებულია 81 თანამშრომელი (43 ქალი, 33 კაცი.) 81 პოზიციაზე (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.), აქედან 23 შტატიანი და 58 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი. ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება, პოპულარიზაცია და სხვ.

ქვეპროგრამის ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
თანამდებობრივი სარგო (23 თანამშრომელი)	264,7	264,7	264,7	264,7
ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება (58 თანამშრომელი)	448,1	448,1	448,1	448.1

მივლინება	5,0	5,0	5,0	5,0
ოფისის ხარჯი	62,2	62,2	62,2	62,2
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	143,0	143,0	143,0	143,0
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯი	8,0	8,0	8,0	8,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,0	5,0	5,0	5,0
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	**1** კვარტალი	**2** კვარტალი	**3** კვარტალი	**4** კვარტალი
თანამდებობრივი სარგო (23 თანამშრომელი)	X	X	X	X
ხელშეკრულებით მომუშავეთათა ანაზღაურება (58 თანამშრომელი)	X	X	X	X
მივლინება	X	X	X	X
ოფისის ხარჯი	X	X	X	X
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯი		X	X	
არაფინანსური აქტივების ზრდა	X	X		
შეფასებითი მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	უზრუნველყოფილია კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის შექმნილია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შესწავლის შესაბამისი პირობები.			

ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2			
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდებაქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			050202
ქვეპროგრამის დასახელება:	საბელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაცემსახურება პროგრამა	გენდერული თანასწორობა, განათლების ხელმისაწვდომობა.		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ,, დმანისის სამუსიკო სკოლა“ (ათასი ლარი)		

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	246,8	246,8	246,8	246,8
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა	6,0	6,0	6,0	6,0
სულ ქვეპროგრამა	252,8	252,8	252,8	252,8
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,, დმანისის სამუსიკო სკოლა" და მასში შემავალი ორი ფილიალი - სოფელ განთიადსა და სოფელ ვარდისუბანში. სამუსიკო სკოლის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოსწავლეები ეზიარონ ხელოვნების საფუძვლებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 66 მოსწავლე (8 ბიჭი და 59 გოგონა). ცენტრში სულ 18 მოსწავლეა (6 ბიჭი და 12 გოგონა), აქედან 2 აზერბაიჯანელია, 1 ბერძენი, ხოლო 15 ქართველი. სოფელ განთიადის ფილიალში ასევე 18 მოსწავლეა (1 ბიჭი და 17 გოგონა), აქედან 5 აზერბაიჯანელია, ხოლო 13 ქართველი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალში 29 მოსწავლეა (1 ბიჭი და 28 გოგონა). სამუსიკო სკოლაში მომუშავე პერსონალი (ადმინისტრაცია და პედაგოგები) 16 ადამიანისაგან (15 ქალი, 1 მამაკაცი) შედგება. სკოლაში მიმდინარეობს საფორტეპიანო სწავლება, მოსწავლეები გადანაწილებულნი არიან კლასების მიხედვით, ასევე ფუნქციონირებს საგუნდო სწავლების ჯგუფიც. 2023 წელს დაგეგმილია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ტურები (მუზეუმებში, თეატრში). ამას გარდა სამუსიკო სკოლა გეგმავს სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობას: როგორებიცაა, რეგიონალური საფორტეპიანო და საგუნდო კონკურსები, ადგილობრივი კულტურის სფეროს ღონისძიებები და რათქმაუნდა განახორციელებს საკუთრივ შიდა ღონისძიებებსაც.			

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
ქ. დმანისის ფილიალი	180,2	180,2	180,2	180,2
სოფ. ვარდისუბნის ფილიალი.	36,3	36,3	36,3	36,3
სოფ. განთიადის ფილიალი.	36,3	36,3	36,3	36,3
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. დმანისის ფილიალი	X	X	X	X
სოფ. ვარდისუბნის ფილიალი.	X	X	X	X
სოფ. განთიადის ფილიალი.	X	X	X	X

შეალედური მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია მუსიკალური განათლების მიღება, კონკურსებში, ფესტივალებსა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2				
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050203			
ქვეპროგრამის დასახელება:	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	4 - ხარისხიანი განათლება. 16 - ყველას თავისუფლად მიეწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური			
	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	229,5	229,5	229,5	229,5
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა	229,5	229,5	229,5	229,5
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო სამსახური, რომლის მიზანია ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია. ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის დაქვემდებარებაშია ცენტრალური ბიბლიოთეკა სამი განყოფილებით: მომსახურების განყოფილება და საბავშვო განყოფილება და მედიათეკა. ასევე აქვს ოთხი ფილიალი: სოფელ განთიადის ბიბლიოთეკა, სოფელ ვარდისუბნის ბიბლიოთეკა, სოფელ გომარეთის ბიბლიოთეკა, სოფელ ამამლოს ბიბლიოთეკა. სამსახურში დასაქმებულია 16 ადამიანი, ბეჭდვითი გამოცემების შენახვის, დაცვისა და მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით, ოპერატიული წიგნადი ფონდის სისტემატიური განახლება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებში, კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება. სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში			

	მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია მკითხველთა ჩართულობით კულტურული-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა. სხვადასხვა გამომცემლობასთან თანამშრომლობით, მოეწყობა წიგნის გამოფენები; ახალი ქართული თანამედროვე გამოცემების გაცნობის მიზნით გაიმართება შეხვედრები თანამედროვე ავტორებთან. მოსწავლე ახალგაზრდობაში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდება სხვადასხვა ივენტორინა. ასევე, ბიბლიოთეკასთან ერთად იფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მედიათეკაც.

ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
სამსახურის ადმინისტრირება	212,5	212,5	212,5	212,5
მუნიციპალური გამოცემების განახლება, დაცვა.	10,0	10,0	10,0	10,0
მედიათეკა	7,0	7,0	7,0	7,0
ღონისძიების განხორციელების დროითი გეგმა				
ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამსახურის ადმინისტრირება	X	X	X	X
მუნიციპალური გამოცემების განახლება, დაცვა.	X	X	X	X
მედიათეკა	X	X	X	X
მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	გამართულად ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები და მედიათეკა			

კულტურული ღონისძიებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2		
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050204
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებები	
გაერის მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 5	
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ათას ლარი)	

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	355, 0	355, 0	355, 0	355, 0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა	355 ,0	355, 0	355, 0	355, 0

მიზანი და აღწერა	მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, ასევე კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც მეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები, როგორიც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სახალხო დღესასწაული "დმანისობა", ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ახალგაზრდობის დღე, ფესტივალი არტ-გენი, საახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში, მერიის სოციალური სამსახურის ჩართულობით, მოხდება მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენა/წახალისება, ისეთ საბალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით როგორიცაა: შობა-ახალი წელი (150 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 50 სასაჩუქრე კალათა), აღდგომა (150 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, 50 სასაჩუქრე კალათა), ნოვრუზ ბაირამი (150 ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 15 ღვაწლმოსილი, საზოგადოებისათვის პატივსაცემი პიროვნება), დედის დღე და ქალთა დღე (50 ქალბატონისთვის სასაჩუქრე კალათა), პოლიციის დღე (სასაჩუქრე სუვენირები) და სხვა. ქვეპროგრამა მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, პოპულარიზაციასა და

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
26 მაისი	15 000	15 000	15 000	15 000
1 ივნისი ბავშვთა ქალაქი	8 000	8 000	8 000	8 000
არტგენი	60 000	60 000	60 000	60 000
დმანისობა - ევროპა იწყება აქ	70 000	70 000	70 000	70 000
ახალგაზრდობის დღე	8 000	8 000	8 000	8 000
სხვადასხვა დღეებისადმი მიძღვნილი აქტივობები	115 000	115 000	115 000	115 000
შემეცნებითი შეხვედრები	4000	4000	4000	4000
ახალი წელი	50 000	50 000	50 000	50 000
კულტურული ტურიზმი	5000	5000	5000	5000
თეატრალური დადგმები	20 000	20 000	20 000	20 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

26 მაისი		X		
1 ივნისი ბავშვთა ქალაქი		X		
არტგენი			X	X
დმანისობა - ევროპა იწყება აქ			X	
ახალგაზრდობის დღე			X	
სხვადასხვა დღეებისადმი მიძღვნილი აქტივობები	X	X	X	X
შემეცნებითი შეხვედრები	X	X	X	X
ახალი წელი				X
კულტურული ტურიზმი		X		
თეატრალური დადგმები		X		
მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში და ხელშეწყობილია კულტურული ტურიზმის განვითარება			

ბ.ე,) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 03			200,0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.		რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერობის ამაღლება.	

ბ.ვ) ინიციატივების თანადაფინანსება

კოდი	პროგრამის დასახელება	ინიციატივების თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 04			2.0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	

პროგრამის აღწერა	იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (რომელიც ეხება ახალგაზრდების გაძლიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის არამუმეტეს 50 %.
პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება

ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 0505)

პროგრამის განაცხადის ფორმა N1		
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:		კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		05 05
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 5 მიზანი 10	
პროგრამის განმახორციელებელი:	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	მუდმივი	
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის მოტივირება და განვითარების ხელშეწყობა. პროგრამა შეიცავს ორ ქვეპროგრამას: 1. წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამა; 2. წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა. პროგრამა მოქმედებს 2022 წლიდან. პირველი ქვეპროგრამა მოიცავს წარჩინებული სტუდენტების (მაღალი აკადემიური მოსწრებით	

	81ქულიდან100ქულის ჩათვლით)ქულათა შესაბამის ყოველთვიურ წახალისებას სტიპენდიის სახით, ხოლო სპორტსმენთა როგორც ყოველთვიურ წახალისებას, ასევე, ერთჯერად ფულად ჯილდოს. მეორე ქვეპროგრამა მოიცავს წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერის, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება	110 000	110 000	110 000	110 000	110 000
წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობა	50 000	50 000	50 000	50 000	50 000
სულ პროგრამა	160 000	160 000	160 000	160 000	160 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები					
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მხარდაჭერილი და წახალისებულია ახალგაზრდების ინიციატივები და შესაძლებლობები, შესაბამისად გაძლიერებულია ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა				

წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2				
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050501			
ქვეპროგრამის დასახელება:	წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება			
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 5 მიზანი 10 მიზანი 3			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:				
	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	110 000	110 000	110 000	110 000

სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	110 000	110 000	110 000	110 000

მიზანი და აღწერა	მიზანი: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების მოტივაცია ყოველთვიური ფულადი წახალისების გზით. იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს წარჩინებული ახალგაზრდებისა და წარმატებული სპორტსმენების ყოველთვიურ წახალისება/დახმარებას. ქვეპროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი სტუდენტები, მათ შორის სოციალურად დაუცველი თუ შშმ სტატუსის მქონე ახალგაზრდები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება უმაღლესი სასწავლებლიდან წარმოდგენილი შესაბამისი ცნობით და სემესტრული შეფასება საშუალო არითმეტიკულით: A შეფასება(91+ ქულა)- ყოველთვიურად 2024 წლიდან დახმარების სახით მიიღებენ ფულად ჯილდოს 200 ლარის ოდენობით; B შეფასება (81-90 ქულა), ასევე სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტები - ყოველთვიურად 150 ლარს. პროგრამაში ჩართულნი იქნებიან 4+1 პროგრამით მოსარგებლე ეთნიკური სტუდენტები, რომელთაც აქვთ სოციალურად დაუცველთა სტატუსი (100 000-მდე რეიტინგუული ქულა) და სემესტრული შეფასება საშუალო არითმეტიკულით 91 -100 ქულა; დაფინანსება განხორციელდება სემესტრულად 10 თვის განმავლობაში (შემოდგომის სემესტრი: 1 მარტიდან - ივლისის ჩათვლით; გაზაფხულის სემესტრი: 1 აგვისტოდან - დეკემბრის თვის ჩათვლით). 2024 წლიდან პროგრამაში ჩაერთვებიან მაგისტრანტები, რომელთა აკადემიური მოსწრება დასტურდება უმაღლესი სასწავლებლიდან წარმოდგენილი ცნობითა და სემესტრული შეფასება საშუალო არითმეტიკულით A შეფასება(91-100 ქულა). ისინი ყოველთვიურად დახმარების სახით მიიღებენ ფულად ჯილდოს 200 ლარის ოდენობით; ქვეპროგრამის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაფინანსდებიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და საპრიზო ადგილის მფლობელები ძალისმიერი სპორტის სხვადასხვა სახეობებში როგორც ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით, ასევე ყოველთვიური სტიპენდიის სახით. 2024 წლიდან ერთჯერად ჯილდოს მიიღებენ საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების მწვრთნელები და ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადად დაჯილდოვდებიან დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდები.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024	2025	2026	2027
წარმატებული სპორტსმენებისა და წარჩინებული სტუდენტების დაფინანსება	30 000	110 000	110 000	110 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წარმატებული სპორტსმენებისა და წარჩინებული სტუდენტების დაფინანსება	X	X	X	X
შუალედური მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია წარმატებული სპორტსმენებისა და წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური ან ერთჯერადი ფულადი წახალისება			

ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდებაქვეპროგრამა:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050502
ქვეპროგრამის დასახელება:	ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაცემსახურება პროგრამა	მიზანი 4 მიზანი 5 მიზანი 10 მიზანი 3

არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000	50 000	50 000	50 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა	50 000	50 000	50 000	50 000

მიზანი და აღწერა	მიზანი: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების მოტივაცია/ხელშეწყობა; წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალმთიანი სტატუსის მქონე ახალგაზრდები: • საჯარო სკოლის მეცხრამეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები, ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას დაასრულებენ წარმატებით, ვერცხლის ან ოქროს მედალზე; • რომლებსაც ესაჭიროებათ, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის მიზნით წინასაასპარეზო მომზადებისათვის ფინანსური მხარდაჭერა ან სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება; • რომლებმაც, წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტში და ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა; • რომლებიც მონაწილეობას იღებენ ისეთ პროექტებში/ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს, დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს დმანისში მცხოვრები ახალგაზრდობისთვის და მხოლოდ ამ პირობით შესაძლოა მოიცავდეს ღონისძიებების დაფინანსებას, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული, ასევე ქვეყნის საზღვრების გარეთ. • რომლებიც, უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის მიზნით, მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და ესაჭიროებათ სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება; • პირები (ხელოვანები. მწერლები, პოეტები, ხალხური სიტყვის მთქმელები და ა.შ), რომელთა მოღვაწეობა ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით. რომელთა მიერ

	წარმოდგენილი პროექტები/ნამუშევრები ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულებისაა და ემსახურება ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებისა და ახალგაზრდობის ზრდა-განვითარებას.			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	**2024**	**2025**	**2026**	**2027**
წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობა	50 000	50 000	50 000	50 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	**1** კვარტალი	**2** კვარტალი	**3** კვარტალი	**4** კვარტალი
წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია წარმატებული ახალგაზრდების მოტივირება და ხელშეწყობა, მათი წახალისების გზით.

. **საგამომცემლო საქმიანობა.(პროგრამული კოდი 0506)**

პრიორიტეტის,პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	კულტურა ახალგაზდრობა და სპორტი (პროგრამული ბიუჯეტი 0500)
ღონისძიება დასახელება (პროგრამული კოდი)	საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 0506)
ღონისძიება ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდება : მრავალწლიანი
ღონისძიება განმახორციელებელი	მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახური, შპს,,გაზეთი დმანისი"
ღონისძიება აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს შპს ,,გაზთი დმანისის" დაფინანსებას -ფუნქციონირებისთვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და დმანისის მუნიციპალიტეტში პრობლემური და სხვა მიმდინარე მოვლენების, საკითხების კვლევას, შესწავლასა და ანალიზს, საზოგადოებისთვის პრიორიტეტული საჭიროებების გამოკვეთას, ადგილიდან რეპორტაჟების, რუბრიკებისა და სხვადასხვა საინფორმაციო პროდუქტების საშუალებით გაშუქებას, წვლილი შეაქვს ადგილობრივი მოსახლეობასა და მმართველ ორგანოსთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის ხელშეწყობაში გაზეთის როლის გაზრდაში, პრობლემებისა და ხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების ეფექტურად დაძლევის კუთხით.
ღონისძიება მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტური საქმიანობისა და მედია საშუალების ხელშეწყობა, ინფორმაციის მოპოვებისა და მიწოდების ეფექტურობა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და უზრუნველყოფა. მიმდინარე მოვლენებზე მოსახლეობის სწრაფი და სრულყოფილი ინფორმირება.
ღონისძიება წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს	ახალი
ღონისძიების განხორციელების ფინანსური გეგმა	

დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი		2025 წელი		2026 წელი		2027 წელი	
	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით
მუნიციპალური ბიუჯეტი	0	45,0	0	45,0	0	45,0	0	45,0	0
სხვა...	0	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	0	45,0	0	45,0	0	45,0	0	45,0	0

ღონისძიების განხორციელების დროითი გეგმა:

2023 წელი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
	0	0	0	0

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში:

1.მიზნობრივი ინდიკატორების შესრულება შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში:

1.მკითხველის და გამომწერის არეალის გაზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

N	2024 წელი		2025 წელი		2026 წელი		2027 წელი	
	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით	ზღვრული მოცულობების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსებით
1.საბაზისო მაჩვენებელი	ონლაინ გამომწერთა რაოდენობა-500							
მიზნობრივი მაჩვენებელი	0	0	500	0	500	0	500	0
ცდომილობის ალბათობა (%/აღწერა)	5%	6%	5%	6%	5%	6%	5%	6%
შესაძლო რისკები	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემები	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკური პრობლემა
2.საბაზისო მაჩვენებელი	ბეჭდური ვერს.ხელმომწერი-350							
მიზნობრივი მაჩვენებელი	390	400	390	410	390	410	390	410

ცდომილობის ალბათობა (%/ალწერა)	5%	6%	5%	6%	5%	6%	5%	6%
შესაძლო რისკები	ტექნიკ. პრობლემები	ტექნიკური პრობლემები	ტექნიკ. პრობლემები	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკ. პრობლემები	ტექნიკური პრობლემა	ტექნიკ. პრობლემები	ტექნიკური პრობლემა

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

ა) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე,ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას,პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2024 წელი			2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
		სულ	ადგი. ბიუჯეტი	სახე. ბიუჯეტი			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 724,9	1 605,6	119,3	1693,3	1706,2	1730,7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	118.3	0	118.3	130.1	143,0	157.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	118.3	0	118.3	130.1	143.0	157.5
06 02	სოციალური დაცვა	1 606,6	1 605,6	1.0	1563,2	1357.2	1573,2
06 02 01	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავდამყოფთა სოციალური დაცვა)	574,4	574,4		579,4	579,4	579,4
06020101	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	300,0	300,0		300,0	300,0	300,0

06020102	დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	24,0	24,0		24,0	24,0	24.0
06020103	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15.0	15.0		18,0	18,0	18.0
06020104	მკვეთრად და მწიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	72,0	72,0		72,0	72,0	72,0
06 02 01 05	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15.0	15.0		15.0	15.0	15.0
06 02 01 06	18 წელს გადაცილებულ შშმ ქალთა და 18 წლამდე შშმ მქონე პირთა სოციალური დაცვა	52.4	52.4		52.4	52.4	52.4
06 02 01 07	მარჩენალდაკარგული,დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26.0	26.0		26.0	26.0	26.0
06020108	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი,ბავშვიანი ოჯახებისქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა.	18.0	18.0		18.0	18.0	18.0
06020109	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა.	18.0	18.0		18.0	18.0	18.0
06 02 01 10	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის,დღის ცენტრის და ადრეული განვითარებისცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიურისოციალური დახმარების ქვეპროგრამა	24.0	24.0		24.0	24.0	24.0
06 02 01 11	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.	10.0	10.0		12.0	12.0	12.0

06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის შეშით ან ბიოსაწვავი, ბრიკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა	64.0	64.0	0,0	64.0	64.0	64.0
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	500.0	500.0		500,0	500,0	500,0
06 02 03 01	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	400.0	400.0		400.0	400.0	400.0
06020302	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20.0	20.0		20,0	20,0	20,0
06020303	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	80.0	80.0		80.0	80.0	80.0
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1.0	0,0	1.0	1.0	1.0	1.0
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	227,0	227,0	0,0	227,0	227,0	227,0
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	190,2	190,2	0,0	148.8	148.8	148.8
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	30.0	30.0	0,0	30.0	30.0	30.0
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზეცნობიერების გაზრდის გზით.	20.0	20,0	0,0	25.0	25.0	25.0

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 00			1 724,9
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას	
პროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 01 01			118,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება. სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ცოფის გავრცელების სუტუაციური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა. კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი	

	სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მათ შორის ანტირაბიული და სპეციფიური შრატებით, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით - ,,ცივი ჯაჭვის'' პრინციპის დაცვით და მონიტორინგი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სავაჭრო დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა. სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლექცია საუბრებით. საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება-გავრცელება. მასმედიასთან ურთიერთობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა მოიცავს:...
ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

კოდი 06 02	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) 1 606,6
პროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
პროგრამის აღწერა		ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას. პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას: ა) მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოფიაცური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა, რომელშიც შედის ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები; ბ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ბიოსაწვავით უზრუნველყოფის პროგრამა გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარება, რომელშიც შედის აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარება. დ) მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი" ე) ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა და სხვა.	
პროგრამის მიზანი		მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01			574,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე დიაგნოზის მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 01			300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები. ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.	
ქვეპროგრამის მიზანი		ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებისთვის	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა	2024წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 02			24,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პაციენტები. სხვადასხვა სამედიცინო სერვისის მისაღებად საჭირო ხარჯებისა და მგზავრობის ხარჯების უზრუნველსაყოფად დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტი დიალიზზე მყოფ ადამიანებისთვის ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას გასცემს. 2021 წელს ფინანსური დახმარებით ისარგებლა 15 ადამიანმა (ამ ეტაპზე სარგებლობს 14 ბენეფიციარი, 4 გარდაიცვალა კორონავირუსით). მუნიციპალიტეტი გარკვეული კატეგორიის	

	მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ტრანსპორტით უფასო მომსახურებას, მათ შორის სარგებლობენ დიალიზზე მყოფი პირები, თუმცა რეისების განრიგს არ ემთხვევა მათი მკურნალობის დღეები, ამიტომ სჭირდებათ კერძო ტრანსპორტის მომსახურება.
ქვეპროგრამის მიზანი	დიალიზზე მყოფი ადამიანებისთვის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 03			15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მოსარგებლენი არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებული პირები, შესაბამისი დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით. ამ ეტაპზე გვყავს 5 ბენეფიციარი და წლის ბოლოს დაემატება კიდევ ერთი პირი	
ქვეპროგრამის მიზანი		ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 04			72,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;	
ქვეპროგრამის მიზანი		მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა მატერიალური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება		2024 წლის დაფინანსება ათას ლარში

06 02 01 05		მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;		
პროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერა		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ზამთრის სეზონისთვის სოციალურად დაუცველთა საწვავით (ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			64.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა პენსიონერებს, იძულებით გადადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახებს, იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახებს საშუალება ეძლევათ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, გათბობის მიზნით, მუნიციპალიტეტიდან დახმარების სახით მიიღონ შეშა/ბრიკეტი ან სხვა მასალა. ცალკეულ შემთხვევაში დახმარებას იღებენ მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად.		
ქვეპროგრამის მიზანი	ზამთრის სეზონზე მარტოხელა პენსიონერების და სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ოჯახების გათბობისთვის საჭირო საწვავით მომარაგება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო (სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპია და რეაბილიტაცია) დახმარება	2024წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			500,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
